

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - არქიტექტურის დოქტორი

პროგრამის მოცულობა - სასწავლო კომპონენტი არანაკლებ 40 კრედიტი, სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი.

სწავლების ენა - ქართული.

სწავლების საფასური - 4000 ლარი.

პროგრამის სტატუსი - აკრედიტებული.

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი არქიტექტურის დარგში სამეცნიერო ანალიტიკური კვლევებისა და სამუშაოების წარმართვისთვის;
- შესძინოს კურსდამთავრებულს, სფეროს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებით, არქიტექტურული პრობლემების სიღრმისეული მეცნიერული შესწავლა–გაანალიზების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და წარდგენის უნარი აკადემიური და პროფესიული ეთიკის დაცვით;
- შესძინოს კურსდამთავრებულს აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის, აგრეთვე არქიტექტურის სფეროში ინოვაციური კვლევის განხორციელების უნარი და განუვითაროს შესაბამისი უნარები აკადემიურ და სფეროს მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

არქიტექტურის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.); საპროექტო საქმიანობა/გამოცდილება. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Science/doctorantura.php>

პროგრამაზე მოხილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა „არქიტექტური“-ს მიზანია:

- მოამზადოს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი არქიტექტურის დარგში სამეცნიერო ანალიტიკური კვლევებისა და სამუშაოების წარმართვისთვის;
- შესძინოს კურსდამთავრებულს, სფეროს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებით, არქიტექტურული პრობლემების სიღრმისეული მეცნიერული შესწავლა-გაანალიზების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და წარდგენის უნარი აკადემიური და პროფესიული ეთიკის დაცვით;
- შესძინოს კურსდამთავრებულს აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის, აგრეთვე არქიტექტურის სფეროში ინოვაციური კვლევის განხორციელების უნარი და განუვითაროს შესაბამისი უნარები აკადემიურ და სფეროს მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისათვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. **ახდენს** არქიტექტურის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის ხელახალ გააზრებასა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერებას, რაც **იძლევა** საქმიანობის პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას.
2. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად **გეგმავს** და **ახორციელებს**:
 - კვლევებს არქიტექტურის დარგში ინოვაციური, ანალიტიკური მეთოდებისა და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის გამოყენებით;
 - არქიტექტურაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისა და ენერგოდამზოგი პროექტების შემუშავებას;
 - არქიტექტურის სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული კვლევების შედეგების საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოცემას;
 - შესაბამისი მიმართულებით პედაგოგიურ მოღვაწეობას: სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდებით მეცადინეობების ჩატარებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობას.
3. ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნებით **ახდენს**:
 - მიზნების, მათი მიღწევის გზებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბებას;
 - რთული და წინააღმდეგობრივი იდეების, ასევე უახლესი მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას;
 - პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას;
 - ახლებური კვლევითი მეთოდების და მიდგომების შემუშავებას, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.
 - უახლესი არქიტექტურული კვლევების საფუძველზე მოძიებული მონაცემების ინტერპრეტირებას და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე

დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებასა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

4. **ამზადებს** არქიტექტურის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობით ინფორმაციას, რომელსაც ვერბალურად აყალიბებს კომპლექსური საკითხების სახით.
5. **აცნობს** ფართო საზოგადოებას მის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგებს და **წარმართავს** ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ არქიტექტურულ ფორუმებს და კონფერენციებს.
6. **იკვლევს** პროფესიულ ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და **შეიმუშავებს** პრაქტიკაში მათ დასანერგად ინოვაციურ მეთოდებს.
7. **იცავს** არქიტექტურის სფეროში პროფესიული ღირებულებებისა და ეთიკის მიღებულ ნორმებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის მიერ საბუთების წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის – Strikeplagiarism.com-ის ოპერატორს სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად. პლაგიატის არარსებობის (დადებითი შეფასების) შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი ფასდება დადებითად, თუ:

ა. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 50%-ს (5-სიტყვიანი წინადადება);

ბ. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 5%-ს (25-სიტყვიანი წინადადება).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა		
№	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
	სასწავლო კომპონენტი	
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4
2	სწავლების მეთოდები	6
3	მეცნიერული კვლევის მეთოდები არქიტექტურაში	5
4	არჩევითი საგნები	
4.1	არქიტექტურის თანამედროვე კონცეფციები	5
4.2	ურბანული კვლევების თანამედროვე მეთოდოლოგია	5
5	პროფესორის ასისტენტობა (არქიტექტურა)	10
6	თემატური სემინარი არქიტექტურაში	10
	კვლევითი კომპონენტი	
	ეტაპები: პროექტი/პროსპექტუსი 1, პროექტი/პროსპექტუსი 2, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა და დისერტაციის დასრულება-დაცვა)	